ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის

სხდომის ოქმი N 34

24 იანვარი, 2020 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

14:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

თ. ტალიაშვილი, ა.ლაშხი, ბ. დავითულიანი, გ. გოცირიძე, ე. კუხიანიძე, ვ. ძნელაძე, მ. დარჩია, ქ. ჯოხაძე, ნ. ვაჩეიშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

1. გიორგი ჩაკვეტაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. გიორგი ახველიადნი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. გიორგი მუსხელიშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. დავით ჭელიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
5. ავთანდილ ცინცაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
6. ირაკლი ზარქუა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
7. ლევან ხაბეიშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
8. ლევან დავითაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
9. რევაზ სოხაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
10. რიმა ბერაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
11. ჯაბა ჯიშკარიანი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
12. ალექსანდრე ხუჯაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
13. ქეთევან მამულაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
14. თარაშ შურღაია - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.
15. შალვა ოგბაიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალბატონი თამარ ტალიაშვილი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

საკითხი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობების მიერ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის ,,კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები რაიონებში" (კოდი:08.11) ფარგლებში განხორციელებული კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული პროექტების შესახებ ინფორმაციის მოსმენა (საანგარიშო პერიოდი, 2019 წელი).

მომხსენებელი: ქალბატონი თამარ ტალიაშვილი

თანამდებობა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე.

სხდომის თავმჯდომარე, ქალბატონი თამარ ტალიაშვილი მიესალმა სხდომის მონაწილეებს, სხდომა გახსნილად გამოაცხადა, დაადასტურა კვორუმის არსებობა და წარმოადგინა დღის წესრიგი, რომელიც განათლებისა და კულტურის კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ, ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა განმარტა, რომ გაერთიანებული კომისიების მიმდინარე სხდომაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა და სარევიზიო კომისიების წევრები განიხილავენ თბილისის რაიონების გამგეობების მიერ 2019 წლის განმავლობაში საბიუჯეტო კოდის 08.11-ის ფარგლებში ჩატარებული კულტურულ-შემეცნებითი და ახალგაზრდული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას. კომისიის თავმჯდომარის თქმით, საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიასთან ერთად ათივე რაიონიდან იქნა გამოთხოვნილი შესაბამისი ინფორმაცია.

თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის, ბატონი გიორგი ჩაკვეტაძის თქმით, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია მიმდინარე სხდომაზე დამატებით განიხილავს ქალაქ თბილისის რაიონული გამგეობების წარდგენილ ანგარიშს რაიონებში სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობის თაობაზე.

სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ, ქალბატონმა რიმა ბერაძემ განმარტა, რომ სარევიზიო კომისია იმსჯელებს სამ საკითხზე: ეს არის თბილისის რაიონების გამგეობების მიერ წარმოდგენილ ინფორმაცია სპორტული, საგანმანათლებლო და კულტურული პროექტების შესახებ, ასევე სარევიზიო კომისიის 2020 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცებასა და თბილისის საკრებულოს სარევიზიო კომისიის მიერ 2019 წლის 6 თვის განმავლობაში გაწეული საქმიანობის ანგარიშზე.

ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა განმარტა, რომ 2018 წელს საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიამ თბილისის ბიუჯეტის განხილვისას გარეუბნების გამოცოცხლების მიზნით, თბილისის მერიას წარუდგინა რეკომენდაცია კულტურულ-საგანმანათლებლო და ახალგაზრდული ღონისძიებების მთელი ქალაქის მასშტაბით მოწყობის თაობაზე, რაც პრაქტიკულად იქნა გათვალისწინებული 2019 წლის განმავლობაში განხორციელებული ღონისძიებების ლოკაციების არჩევისას.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სხდომის მონაწილეებს სამდივნოს მიერ დაურიგდათ თბილისის რაიონების გამგეობებიდან მოწოდებული ინფორმაცია, საბიუჯეტო კოდის 08.11-ის ფარგლებში გატარებული ღონისძიებების შესახებ. ქალბატონმა თამარ ტალიაშვილმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, პროექტების დაგეგმვისას გათვალისწინებული იყო მოწყვლადი ჯგუფები, მათ შორის, შშმ პირების ჩართულობით; აგრეთვე, გენდერული თანასწორობისა და ბავშვთა განვითარებაზე ორიენტირებული ღონისძიებები.

კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების ხელშეწყობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რა დროსაც გათვალისწინებული უნდა იყოს მოსახლეობის ინტერესები, განსაკუთრებით ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში. კომისიის თავმჯდომარის თქმით, მომდევნო სხდომაზე, რომელშიც ათივე რაიონის შესაბამისი განყოფილების ხელმძღვანელები მიიღებენ მონაწილეობას, განხილული იქნება სამომავლოდ დაგეგმილი პროექტები და მუშაობის ფორმატი.

ბატონი გიორგი ჩაკვეტაძის თქმით, თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია ექვს თვეში ერთხელ, ან ყოველწლიურად იღებს ინფორმაციას თბილისის გამგეობების მიერ შესრულებული სამუშაოების შესახებ, რაც ზრდის გამგეობების ანგარიშვალდებულების ხარისხს.

ქალბატონი რიმა ბერაძის თქმით, საკრებულოს სარევიზიო კომისიის ამოცანაა, ადგილზე ნახოს და შეამოწმოს თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივი ხარჯვა. შესაბამისად ძალიან მნიშვნლოვანია, რომ თბილისის საკრებულოს განათლებისა და კულტურის და სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია პერიოდულად იბარებს ანგარიშებს თბილისის გამგეობებიდან.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს:

გიორგი ჩაკვეტაძემ, თამარ ტალიაშვილმა, რიმა ბერაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობების მიერ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის ,,კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები რაიონებში" (კოდი:08.11) ფარგლებში განხორციელებული კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული პროექტების შესახებ ინფორმაციის ცნობად მიღების შესახებ.

მომხრე _____	8
წინააღმდეგი _____	1 (კომისიის წევრი ბატონი ნიკოლოზ ვაჩეიშვილი)
თავი შეიკავა _____	0

გადაწყვიტეს: კომისია ცნობად იღებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონული გამგეობების მიერ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის ,,კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები რაიონებში" (კოდი:08.11) ფარგლებში განხორციელებული კულტურული, სპორტული და ახალგაზრდული პროექტების შესახებ წარმოდგენილ ინფორმაციას.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:

თამარ ტალიაშვილი ----------